მდგრადი განვითარებისთვის ბიზნეს აქსელერატორის დაფუძნება, ქ. თბილისი, საქართველო

მერები ეკონომიკური ზრდისთვის საპილოტე პროექტი

პროექტის აღწერილობა

პროექტი მოკლედ
დროის პერიოდი: 2018-2022
ბიუჯეტი: 1,013,268 ევრო (ევროკავშირის წვლილი - 506,634 ევრო)
პარტნიორები: თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA)
გეოგრაფიული დაფარვა: ქ. თბილისი, საქართველო
სამიზნე ჯგუფები: სტარტაპები ინოვაციური სამეწარმეო იდეებით, რეგისტრირებული მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი ბიზნესები, ინდივიდუალური მეწარმეები, სოციალური მეწარმეები

კონტექსტი

საქართველოს დედაქალაქი თბილისი მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ქალაქი განფენილია მდ. მტკვრის ნაპირებზე, ზღვის დონიდან 380-600 მეტრზე და ფარავს დაახლ. 720 კმ^2 ფართობს. დედაქალაქის წყლის მთავარი არტერიაა მდ. მტკვარი, რომელიც ქალაქს კვეთს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. თბილისი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრია.

ქალაქში განლაგებულია არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში უმუშევრობა საკმაოდ მაღალია (21%), თბილისის ეკონომიკა საკმაოდ ინტენსიურია: ქვეყნის ბიზნესების 40%-ზე მეტი თბილისშია რეგისტრირებული. თბილისი ასევე გამორჩეულია, როგორც იდეალური ადგილი პატარა ბიზნესებისთვის: ქალაქში რეგისტრირებული ბიზნეს ერთეულების 80%-ზე მეტი პატარა ბიზნესია.

პროექტის მიზანი და ამოცანები

პროექტის მთავარი მიზანია ქ. თბილისში სტარტაპებში დასაქმების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარების წახალისება. მისი მიზანია **ეკონომიკური ზრდისთვის ბიზნეს აქსელერატორის** დაფუძნება, რომელიც თბილისში რეგისტრირებულ ან უკვე აქტიურ საწარმოებს შესთავაზებს ბიზნეს განვითარების სპეციალურ ოფასო პროგრამებს. პროექტი იმუშავებს ქ. თბილისში შემდეგი ***ამოცანების*** მისაღწევად:

1) ინოვაციური სამეწარმეო იდეების მქონე „სტარტაპების“ მხარდაჭერა; მათი საქმიანობის სფეროში ამ სტარტაპებისთვის რჩევის მიწოდება და ტრენინგების გამართვა; ბიზნესის განვითარების დაგეგმვაში მათი დახმარება; მათთვის საზიარო სამუშაო სივრცეებიდან, გაყიდვების წახალისებისა და მარკეტინგული საქმიანობიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობების შეთავაზება.

2) რეგისტრირებული მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი ბიზნესების დახმარება მათ უფრო მეტად განვითარებაში; ექსპერტული რჩევით, მხარდაჭერითა და სამუშაო სივრცით უზრუნველყოფა; საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე მათი გაყიდვების წახალისება; და პოტენციური ინვესტორების იდენტიფიცირებაში დახმარება.

პროექტის აქტივობები

პროექტის შესაბამისად, ქ. თბილისში შეიქმნება **ეკონომიკური ზრდისთვის ბიზნეს აქსელერატორი**, რომელიც სტარტაპებს დაეხმარება ბიზნეს იდეების განვითარებაში, საჭიროებების შესაბამისად მათი იდეების განხორციელებაში. პრიორიტეტული სფეროები იქნება:

- ტურიზმი და მასთან დაკავშირებული ბიზნესები;
- პროფესიული და უმაღლესი განათლება;
- სპორტთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბიზნესი;
- სამედიცინო ბიზნესი;
- ტრადიციული ნაკეთობები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- სხვადასხვა სექტორებში ინოვაციური ბიზნეს იდეები;
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიები.

ბიზნეს აქსელერატორი მოიცავს მხარდაჭერის 5 სხვა ინიციატივას:

1. თბილისში ადგილობრივი სტარტაპები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო *საზიარო სამუშაო სივრცეებით*;
2. სტარტაპები და არსებული ადგილობრივი ბიზნესები უზრუნველყოფი იქნებიან ექსპერტული რჩევებით;
3. სტარტაპებისა და ადგილობრივი ბიზნესებისთვის გარემონტდება და აღიჭურვება შეხვედრის ადგილები;
4. გაყიდვების წახალისებისა და მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების საკითხებში რჩევები იქნება ხელმისაწვდომი;
5. უზრუნველყოფილი იქნება დახმარება პოტენციური ინვესტორების იდენტიფიცირების საკითხში.

მოსალოდნელი შედეგები

- თბილისში რეგისტრირებული **60** სტარტაპი და **40** არსებული მცირე და საშუალო ზომის საწარმო განავითარებს საკუთარ აქტივობებს;
- შემუშავდება **152** ბიზნეს გეგმა.

პროექტი წაახალისებს თბილისის ეკონომიკურ განვითარებას, მხარს დაუჭერს და მოახდენს კერძო სექტორის სტიმულირებას, დააკავშირებს ბიზნესებს და გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას.

აგრეთვე, მას არსებითი გავლენა ექნება ინვესტიციებზე. ***ბიზნეს აქსელერატორის მოდელი*** ძლიერ ბიძგს მისცემს ადგილობრივ სტარტაპებს, ადგილობრივი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში ითამაშებს მნიშვნელოვან როლს, წაახალისებს ადგილობრივ სტარტაპებსა და მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებს. ყველაფერი ეს მიგვიყვანს თბილისის ეკონომიკის ზრდის სწრაფ დონესთან.

საპილოტე პროექტი „მდგრადი განვითარებისთვის ბიზნეს აქსელერატორის დაფუძნება“ ხორციელდება საქართველოში ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივა მოქმედებს 2017 წლის იანვრიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩარჩოში. ინიციატივის ზოგადი მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში მერებისა და მუნიციპალიტეტების დახმარება იმ მიზნით, რომ მათ აქტიურად წაახალისონ ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივ დონეებზე. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ-გვერდს – www.m4eg.eu.

ეს პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ეს პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორ(ებ)ი და შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირის ხედვებს.